

ქალიშვიდი

საქ. კ. პ. სენაკის სამა-
ზრო კომიტეტის ჯ. აღმა-
სკომის პროპაგანდისტული
ო. რ. ბ. ა. ნ.

რედაქცია: დრ. მოთავსებულია — ქ. ახალ-სენაკი ლე-
ნიის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)
ყოველგვარი მასალები, კორე-
სპონდენტები და განცხადებანი უნდა
გამოიგზავნოს აშხ. გ. ნადარეი-
შვილის სახელზე შემდეგი მისამა-
რით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის
ქუჩა № 45 (განათლების განყოფილ.)
პირადად მოლაპარაკება რედა-
ქციის პას. მგ. მდივან აშხ. გ. ნა-
დარეიშვილთან შესაძლებელია ყო-
ველდღე (გარდა უკვე დღეებისა)
დილის 11-დან ნაშვ. 2 საათამდე.
ტელეფონი — განათლების განყოფილ.

გლეხის საკითხი.

უკვე მესამე წელია, რაც ჩვენში სოფლის მეურნე-გლეხი თავისუფალი მოქალაქეა. ის თავისუფალი არამც თუ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც: ე. ი. არამც თუ მარტო ძალა-უფლებითა მის ხელში, არამედ მის სრულს და უღაფრე საკუთრებას შეადგენს მისი ქონების მთავარი წყარო-მიწა: მას ვერ ყვლეფს ძველ-ბურჲად ვერც მემამულე, ვერც მღვდელი და ვერც ბერი. მიუხედავად ამისა, დღეს გლეხის ქონებრივი მდგომარეობა მიიწვ ვერა საესებით დამაკმაყოფილებელი. თუ მას დღეს შედარებით წარსულ დროსთან კუჭი არ ეწვის შიმშილისაგან, სამაგიეროთ ის დიდს შევიწროებას განიცდის იმ მხრივ, რომ მას ძლიერ უჭირს ქალაქის ნაწარმოების, განსაკუთრებით ფართლეულობის, შექმნა. ამის მთავარი მიზეზია ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ფასი დაკუმულია საშუერ წარსულ დროსთან შედარებით, რადესაც დახლოებით ამდენ-ჯერად ვაძირ; ბულია ქალაქის ნაწარმოები, განაკუთრებით ფართალი, მარილი, ნავთი და სხვა.

მუშურ-გლეხურ მთავრობას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო ამ გარემოებისათვის არ მიექცია განსაკუთრებული ყურადღება.

პირველად ყოვლისა საქრო იყო განსაკუთრებული ზომების მიღება ქალაქის ნაწარმოების თვით ღირებულების შესამცირებლად.

მთავრობის მიერ დანიშნულმა ჩვენი მრეწველობის გამოსაკლებელ სხვა და სხვა კომისებმა აღმოჩინეს, რომ ახლა საქონლის დამზადება ფაბრიკა-ქარხნებში დაახლოებით ორ-სამჯერ უფრო მეტი ჯდება, ვინემ ძველად. აღმოჩნდა ისიც, რომ მთავარი მიზეზი ამისა ყოფილა არა ის გარემოება, რომ მუშები ახლა ორგულად მუშაობენ, არამედ ის, რომ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს და ტრესტებს ქონია სრულიად არა საქრო ზედმეტი ხარჯები, გამოწვეული მოსამსახურეთა გაბერილი შტა-

ტით და სხვა... უკვე მიღებულია მთავრობის მიერ ყოველგვარი ზომები ამ ზედმეტი ხარჯების სრულიად მოსასპობად და საქონლის თვით-ღირებულების შესამცირებლად. მაგრამ მანამდე, სანამ ამ ზედმეტი ხარჯების შემცირება დაეტყობოდა საქონლის ფასს, ჩვენმა მთავრობამ, რომ გლეხს მისცემოდა საქონლის ყიდვის მეტი საშვალეობა, უკვე დამზადებულ საქონელზე ფასები საგრძნობად შეამცირა.

სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ სენაკის სამაზრო აღმა-სკომის საეკრო განყოფილებამ და კოპერატივმა 8 ამ ივნისიდან ზოგიერთ ფართლეულობაზე ფასები დასწია 35%-ით, ზოგიერთზე კი — 40 და მეტი პროცენტით.

სოფლის ნაწარმოების ფასების ასაწვეად ჩვენმა მთავრობამ ნება დაგვართო სიმინდის ვატანისა საზღვარ-გარეთ.

თუ კი მყიდველები ვიშოვნეთ და ვატანის საქმე მოვაწყვეთ, მაშინ იმედია, რომ სიმინდის ფასი ორჯერ-სამჯერ გადიდდება.

გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომ ამიერიდან მთავრობის მიერ ნაცვლად მრავალ-სხვა და სხვა სახის გადასახადისა, შემოღებულ იქნება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. გლეხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომ სამაზრო აღმასკომმა მიიღო 120 ფუთი ამერიკის ტანისამოსი, რომელიც ძლიერ-იფად იყიდებოდა იქნება 15 ამ თვიდან სენაკის მაზრის სხვა და სხვა პუნქტებში.

აგრეთვე სულ მოკლე ხანში მებრეშუმეებს დაურიგდება პარკის შარშანდელი ვლი სრულიად.

ამიერიდან ჩვენი სოფლის მეურნის-მშრომელი გლეხის მდგომარეობა ღება გაუმჯობესების ღიანდაგზე. დღითი დღე ის უმჯობესდება დეს იქნება მაგრამ ეს გაუმჯობესება რომ შეიქნეს ძლიერ საგრძნობი, საქროა დრო და ხანი.

ს. მ — ლია.

ნასწელ წუთებს განიცდის. პოლიტიკურად მედარი და გაბრწილი „ცეკა“ უკანასკნელით კიდევ ასწრებს წამოძახებას, რომ ყველაფერი ეს წყველ და შეწყვეტულ „ჩეკას“ ბრალიაო, — მხოლოდ „ჩეკის“ სიმკაცრით და მუქარით ხდება ყველაფერი ესო. ეს ჩვენ სასაცილოდ არ გვეოფნის. გვეცოდება მენშ. „ცეკა“, რომ მას გონება მთლად გამოფიტვია. განა შესაძლებელია ზებრესებით მოისპოს რომელიმე პოლიტიკური პარტია, თუ იგი ცხოვრებისგან საესებით განწირული არ არის?! ამხ. მ. ამისა სიტყვით „ჩეკა“ უნდა წარმოვიდგინოთ ყოვლის შემძლედ და ყველგან მყოფად, რომ მან ასეთი საქმე ჩაიდინოს. ცხადია ყველა-სათვის, რომ პარტიის რიგებს არღვევს არა რომელიმე „ჩეკა“ და რებრესია, არამედ თვით ამ პარტიის გაბრწნა, მისი მოღალატური საქციელი, მისი გამცემლობითი საქციელი პროლეტარიატის დაგლეხის მიმართ.

რომ ყველაფერი ეს მართალია, რომ არაკითარ ძალ-დატანებს არაქვს ადგილი, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია სენაკის მაზრაში მომხდარი ამბავი.

3 ივნისს საისტროლო ამბავი მოხდა ქ. ახალ-სენაკში. და ეს ამბავი კიდევაც წითელი ასოებით შევა მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში. ქალაქის საბჭოთა თეატრში საღ. 8 საათზე შესდგა სოც.-დემოკრ. მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების საჯარო კრება, რომელსაც დაესწრენ კომუნისტური პარტიის და ახალგაყვშირის ქალაქის ორგანიზ. წევრები, აგრეთვე ქალაქის მცხოვრებთა დიდძალი რიცხვი. ყოფილი მენშევიკების რიცხვი აღწევდა 80-ს (ახ. ვაზ. „კომუნა“-ს № 6). გამოდიან მენშ. პარტიის ყოფილი საუკეთესო მუშაკები, ძველი მებრძოლნი (1900-1903 და 1905 წწ. პარტისტაეით), რომლებიც საჯაროდ გამოხენ მენშევიკური პარტიის მოღალატურ და მუშათა კლასის მიმართ გამცემლურ საქციელს, ზიზღს უკუხადებენ ამ პარტიას, სრულიად ბუნებრივად და სრულიად შეგნებულად სტოგებენ პარტიის რიგებს და მუშათა კლასის ერთად ერთ განმათავისუფლებლ გზად სთვლიან კომუნისტური პარტიის მიერ აღებულ გეზს.

ყოველივე ამის დასამტკიცებლად მენშ. პარტიის ყოფილი წევრი დ. იოსელიანი სენაკის ორგანიზაციის ყოფილ წევრობა სახელით ს. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის პას. მგ. მდივანს მ. ბედიას გადასცემს დროშას შემდეგი წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთ-ლით! (საბჭოთა ღერბი) გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში! გაუმარ-

ჯოს მე-3 მე კომუნისტურ ინტერ-ნაციონალს! ზიზღი მენშევიკურ პარტიას და მის ამყოლ-დამყოლთ! საქართველოს კომუნისტურ პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტს — მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრები-საგან“.

აი, რა მოხდა. თუ რა ზინა!

არსია ამ გარემოებაში, თუ რას ამტკიცებს ეს ურყევი ისტორიული ფაქტი, დიე ამბზე თვითონ იმსჯე-ლოს მენშევიკების ჯიუტმა „ცეკამ“, თუ კი მას დღემდე სული არ განუ-ტევიდა და „საიქიოში“ არ წასულა.

გ. ნ — ლი.

რადიოდებეშები რუსეთი და ინგლისი.

რუსეთის კავშირის გაქვეტა საზარდალა ინგლისისათვის.

ლონდონი 4 ივნისი. გაზეთი „მანჩესტერი გარდიენ“ სწერს: „კერზონის ნოტამ დიდი აღღლება გამოიწვია. იქ ეს გაიგეს, როგორც წინდაწინ მოფიქრებული თავდასხმის დასაწყისი. ახლა, მოსკოვიდან იტალიის ელჩის ამდორის გწვევის შემდეგ, კერზონს არ უნდა ქონდეს იმედი, რომ იტალია მხარს დაუჭერს მას. საფრანგეთი საეჭრო დღევ-გაცის გზავნის რუსეთში. მდგომარეობის ასე შეცვლა მეტად საზარალოა ინგლისისათვის“.

ღრთა ჩავეროთ.

ლონდონი 4 ივნისი. „დეილი ჰერალდი“-ში და „მორნიგ პოსტ“-ში საესებით არის მოთავსებული პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ბრიტანეთის მუშათა პარტიის გენერალური საბჭოსადმი. „დეილი ჰერალდი“ სწერს: „ღრთა ჩავეროთ ჩვენ რუსეთ-ინგლისის კონფლიქტში“.

ლონდონი 4 ივნისი. სკანდინავიის გაზეთებში მოთავსებულია ლორდ-ჯორჯის წერილები, რომლებშიც ის ილაშქრებს რუსეთთან კავშირის გაქვეტის წინააღმდეგ.

მთელი ევროპა არ უნდა დაიტან-ჯოს კერზონის ჯიუტობის გამო.

ლონდონი 5 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენ“-ი სწერს: „რუსეთთან განხეთქილების საფრთხე არ არის განვილილი. რუსეთში დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისი ეფებს განხეთქილებას. ეს აზრი გაბატონებულია იმის გამო, რომ კერზონმა ხელახლა წარადგინა მოთხოვნილება დაკარგული ქონების ანაზღაურების შესახებ, უარი სთქვა რუსეთის მიერ მოთხოვნილ კონფერენციასზე და დაქინებითი პოზიცია დააკავა პროპაგანდის საკითხში, რის გამოც ნოტა არ წააგავს ჩვეულებრივ მიმართვას ერთი დიდი სახელმწიფოსი მეორესადმი. გააკვირი არ არის, რომ კერზონის მემორანდუმმა რუსეთში არა სასიხარულო შთაბეჭდილება გამოიწვია. ნუ თუ მთელი ევროპა — სწერს გაზეთი, — უნდა იტანჯოს მოსალოდ-

ნელი უთანხმებით მიტომ, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ანტიპანტიურად უტკერის ერთ სახელმწიფოსს.“

რუსეთ-ინგლისის განხეთქილება დიდი შეტომა იქნებოდა.

ლონდონი 5 ივნისი. მელითონეთა საერთაშორისო კონფერენციის რეზოლიუციაში რუსეთის საკითხის შესახებ ნათქვამია: „რუსეთ-ინგლისის საეკრო შეთანხმების შეწყვეტა იქნებოდა დიდი შეტომა. პირიქით, საქროა შეთანხმების გამარტივება და გაფართოება. რუსეთს უნდა გაეწიოს დახმარება მთელი მსოფლიოს ეკონომიური აღდგენის მიზნით“.

თუ....

პარიზი. 7 ივნისი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, თუ კერზონი და კრასინი შეთანხმდენ, ჩინური ჩავა ლონდონში მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

რუსის ოლქის ოკუპაცია.

მარცვა-გლეჯვა გრმელეკა.

ლონდონი 3 ივნ. რურის ოლქიდან მიღებულ ცნობებით საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ იტალიის და ინგლისის დელეგატების თანდასწრებით კონფისკაცია უყო 28.000 ბოქკა საღებავ მასალას.

თაჯს იმართლეკენ.

ლონდონი 4 ივნისი. საფრანგეთის მთავრობა გლეხის დატუხადებას ახაბუთებს იმით, რომ გერმანი-აში უკანასკნელ ხანებში დაატუსადეს ფრანგი მოქალაქეები.

ახლა მაინც დაიჯერონ!

უკვე წელიწადზე იქტია, რაც საქართველოში დაიწყო მენშევიკური პარტიის რიგების რღვევა. ამ უკანასკნელ თვეებში ამპროკისმა მასიური ხასიათი მიიღო. მენშ. პარტიას გამოეთიშენ ყველანი, ვინც ამ პარტიის დაყრდნობს წარმოადგენენ. პარტიის რიგების დატოვება ხდებოდა სრულიად შეგნებულად, ყოველგვარ ძალ-

დატანების გარეშე. ეს გარემოება ყველასათვის დღესავით ნათელი იყო.

მაგრამ ეს არ სჯერა, ან არ უნდა დაიჯეროს ჰაერში გამოკიდებულ, უარმიოდ დარჩენილ მენშევიკების „ცეკას“, რომელსაც გამოეცალი ყოველგვარი დასაყრდნობი და რომელიც სიკვდილთან ბრძოლის უკ-

რედაქციის განცხადება

Table with 4 columns: Item number, Description, Quantity, Price. Includes items like 'ყველი ძროხისა გირ.', 'ყველი-სულუგუნე გირ.', etc.

რედაქციის განცხადება

რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს ბანძის რაიონის ამხანაგებს, რომელთაც შემოსწირეს ფონდის „კომუნა“-ს გასაძლიერებლად შემდეგი თანხა:

ანობას და სხვა; გავისხენოთ ბურჟუაზიული სკოლები, გავისხენოთ, თუ როგორ საზრდოს აწვდიდა იქ ბურჟუაზია მოზარდ თაობას და დარწმუნდებით, რომ ამ სკოლებში ბურჟუაზია და შეფუთი მთავრობა ამზადებდნენ არ სკბულ ხელისუფლების, წესწყობილების დამცველ „ჩინოვნიკებს“. სოფელში თუ საღმრეთო იყო სამკითხველო, იქ უფრო მეტად შეგზავდებოდათ ბურჟუაზიული, ან ნაციონალი ტურ-მოვიზისტური სულით გაყვანილი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

სალამი „კომუნა“-ს

საოამი შრომის სამეფოს და „კომუნა“-ს ხელმძღვანელებს! გაუმარჯოს მუშის უფლებებს და დაეყრდნოს მათ მძლავრ ხელებს!

მზე ამოდის

აჰა! ძმებო, მეგობრებო, რიყრაცია, მზე ამოდის. ახმაურდა დიდ ქუჩები, გზა მიეცით, მუშა მოდის.

ზოგი მიდის ქარხანაში, ზოგი თოხით ყანისაკენ. მესმის იმათ მტკიცე ხმაში; „აბა ძმებო, ბრძოლისაკენ!“

სოფელი

27 მაისს ს. ზანაში გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ მასწავლებლების ხელმძღვანელობით; წარმოდგენა საუცხოოდ ჩატარდა. ახალგაზრდა მოწოდებმა იმდენი შეგება გამოიჩინეს, რომ შემოსული ფული გაზეთების გამოსაწერად სამკითხველოს შესწირეს.

ადგილობრივ საბჭოს დადგენილებით ხორშის თემის მცხოვრებლებმა იღვესაწაუღეს 27 მაისი. დღესასწაულის მიზანი იყო ძველი საეკლესიო დღესასწაულების გაუქმება.

ლეში მოხდა სრული გარდატეხა ყოველ მხრით: სკოლაში შეიქმრა ხალი სული-კომუნისტების იდეა, მოხდა სრული გარდატეხა მასწავლებლობაში; ასევე მოხდა (შეიძლება უფრო ძლიერად) მოწოდებაც. შრომის სკოლის პრინციპებს საფუძველი ეყრება. თუმცა ამის თქმა არც ასე იოლი საქმეა: აქ დიდი ბრძოლა საჭირო. სკოლის ბაღე მოედო მთელ სოფელს. მასწავლებელთა გადასახლისებლად დიდი ზომები იქნა მიღებული. ამ ზაფხულშიც ბევრის გაკუთვა გვაქვს დასახული.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე აღსანიშნავია საზოგადოებას რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლის ამხ. ვოროგისკის ვერაკულად მოკვლა დასავლეთ ევროპის შავ-რაზმელების მიერ. მუსიკამ შესრულა სამგლოვიარო ჰიმნი, მოხსენების შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლუცია, რომლითაც ხალხი წყევლა-კრულვას უგზავნიდა დასავლეთ ევროპის ძირმომავალ ბურჟუაზიას და ყველა იმათ ვინც ცდილობს მსოფლიო ომის კვლავ დაწყებას.

აღექსი ბუკია. უსაფათის თემი. 1923 წელს 27 მაისს შესდგა უსაფათის თემის საზოგადო კრება; კრებაში მონაწილეობა მიიღო თემის მცხოვრებთა უმრავლესობამ.

სამუდამო სიხვნა კი ახს. ვოროგისკის დარჩება ჩვენს გულში. დეე! იცოდნენ მტარვლებმა, რომ პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას ამით ვერ გაუტეხენ გულს! თუნდაც ასი ათასობით შევეწიროთ, მიინც წითელ დროშას ვერავინ ვერ გამოგვაცილის ხელიდან. ზოზილი და შურისძიება ახს. ვოროგისკის მოკვლის მომწყობ კომპანია!

ბანძა. ბანძის საბჭოთა აფთაიკი. ბანძაში არსებობს ერთი საბჭოთა აფთაიკი, რომელიც ემსახურება მთელ რაიონს.

ლოცვაში მოიპოვეთ აგრეთვე საზოგადოებრივი საბჭოების აგიტპროპის მიერ განაწილებული ლიტერატურა. ამ რიგად საუკუნოებრივ ჩამოტრიალულ და მივიწყებულ სოფლებში უკვე შენათა დაიდა იდეამ და ახალმა სხეებმა, რითაც ჩვენი ქოხ-სამკითხველო უკვე განათლების კერად გადაიქცა. მაგრამ ვიმეორებთ, ეს არ კმარა; აქ დიდი მოთხოვნილება ახალი ლიტერატურის, რომლის დაწვევის წყურვილი უკვე აღძრული აქვს ჩვენს გლეხებს. სწორედ ასლი, ამ შემთხვევაში საჭირო სათანადო ზომების მიღება. გაზეთების საქმე, საერთოდ, კარგადაა მოწყობილი. სათეატრო საქმესაც არაფერი უჭირს. ახლა ხომ ყველა ყოფილი ეკლესიის თეატრებადაა გადაქცეული. მაგრამ ამით არასოდეს არ უნდა ვიქნეთ კმაყოფილი.

თი წელი და თვეები, რომ ამ წელიწადში არ ყოფილიყო საჩივრები, ვრობას დასარჯული აქვს ამ აფთაიკის საქმეების გამოსაძიებლათ იმდენი თანხა, რამდენიც სხვა დანარჩენ მახარაში არსებულ აფთაიკებზე.

აფთაიკი მოგაგონებდათ რაიმე გასართობს. თუ ვინმეს ეჭვდით, უსათუოდ ნახავდით აფთაიკში, სადაც ყოველ დღე ინიშნებოდა პაემანი. ერთი სიტყვით, აფთაიკმა ბოლოს და ბოლოს მიახწია სრულ გაკოტრებას. თუ კითხავდით აფთაიკის გამგეს ასეთ მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზაზე, ეს გიპასუხებდათ: აფთაიკი „დეფიციტს“ იძლევა და უნდა გაიციეს იჯარით. ასეთ მოვლენამ და სურათმა განცვიფრებაში შეიყვანა ადგილობრივი პასუხის მგებელი ამხანაგები; ადგილობრივმა პარტკომმა მიიღო თავზე ზემოხსენებულ საქმიანებას გამოძიება, რამაც ბოლოს მოგვცა ის შედეგი, რომ მთელი შტატი აფთაიკის იქნა გაძევებული აფთაიკიდან ბოროტ მოქმედებაში ცნობის გამო. ამის შემდეგ აფთაიკის გამგეთ იქნა დანიშნული არცვაზაფ, რომლის დროს აფთაიკს დაეტყო თანდათან კეთილმოგზავნა.

აფთაიკი მოგაგონებდათ რაიმე გასართობს. თუ ვინმეს ეჭვდით, უსათუოდ ნახავდით აფთაიკში, სადაც ყოველ დღე ინიშნებოდა პაემანი. ერთი სიტყვით, აფთაიკმა ბოლოს და ბოლოს მიახწია სრულ გაკოტრებას. თუ კითხავდით აფთაიკის გამგეს ასეთ მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზაზე, ეს გიპასუხებდათ: აფთაიკი „დეფიციტს“ იძლევა და უნდა გაიციეს იჯარით. ასეთ მოვლენამ და სურათმა განცვიფრებაში შეიყვანა ადგილობრივი პასუხის მგებელი ამხანაგები; ადგილობრივმა პარტკომმა მიიღო თავზე ზემოხსენებულ საქმიანებას გამოძიება, რამაც ბოლოს მოგვცა ის შედეგი, რომ მთელი შტატი აფთაიკის იქნა გაძევებული აფთაიკიდან ბოროტ მოქმედებაში ცნობის გამო. ამის შემდეგ აფთაიკის გამგეთ იქნა დანიშნული არცვაზაფ, რომლის დროს აფთაიკს დაეტყო თანდათან კეთილმოგზავნა.

საჭიროა უფრო მეტი ყურადღების მიქცევა ამ საქმისადმი, ვისგანაც ჯერ არას უფიქრება, სიბნელე-ეს მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა-ძირბუდიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი და მისი ადგილი უნდა დაიკავოს განათლებამ და ჩვენმა ახალმა იდეამ.

საჭიროა უფრო მეტი ყურადღების მიქცევა ამ საქმისადმი, ვისგანაც ჯერ არას უფიქრება, სიბნელე-ეს მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა-ძირბუდიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი და მისი ადგილი უნდა დაიკავოს განათლებამ და ჩვენმა ახალმა იდეამ.

ვ. ნადარციშვილი.



მასალები. ვიმედოვნებთ, რომ ადგილი აქვს კიდევ გაცილებით უკეთეს სი- მალღებე დაყენებას შეძლებს ზემო- ხსენებული ამხ. არევაზოვი.

ბანძის თემის აღმასკომის მდივანი გლ. ესიავა.

ქოლოზის თემი (სენაკის მაზრა)

ქოლოზის თემი არის ერთ-ერთი პატარა თემი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი შესდგება 340 კომლისაგან. აღნიშნულ თემში არსებობს სხვა და სხვა დაწესებულება, როგორცაა: 2 მთლიანი შრომის სკოლა, სამკითხველო და 2 კოაპერატივი სახელწოდებით „საშავლები“ და „იმედი“. აღნიშნულ კოაპერატივებს წევრთა რიცხვი საქმარის ყავს. წარმოებაც მიმდინარეობს ნორმალურ ნიადაგზე; ამ კოაპერატივებს აქვს კავშირი აბაშის რაიკოაპერ-თან.

ახლა, როგორც სჩანს, ცეკავშირის განკარგულებით ხდება გადაჯგუფება კოაპერატივებისა. ამის მიხედვით მარნის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს პროკოფი ნოდიას განუხრახავს ქოლოზის თემის მცხოვრებთა დაუკითხავად და რაიონისთვის ცნობის მიუცემლად ქოლოზის თემში არსებულ კოაპერატივების შეერთება მარნის თემის კოაპერატივებთან და დაკავშირება სამტრედიის რაიკოაპერატივთან. ამას იგულისხმება რუსული ანდაზა: „Без меня—меня женили“. თანაც მარნის თემის აღ-მს თავისი-შეხვედლებით აურჩევია ქოლოზის თემის მცხოვრებლები აღნიშნულ კოაპერატივების სარევიზიო კომისიაში, რომლის არჩევის და გადაჯგუფების დადგენილება ცნობად და შესასრულებლად მოვიდა ქოლოზის თემის აღმასკომში.

ამის გამო ქოლოზის თემის აღმასკომის მიერ იქნა მოწვეული ქოლოზის თემის მცხოვრებთა მთლიანად (3 ივნისს), სადაც გამოცხადდნენ და დაესწორნენ თემის ყველა მცხოვრებნი უკლებლივ. კრება გაეცნო აღნიშნულ მოწერილობის შინაარსს, რომელზედაც კრებამ იმსჯელა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად დაადგინა: მარნის თემის აღმასკომის დადგენილება და სამტრედიის რაიკომის კავშირში მიწერა ქოლოზის თემში არსებულ კოაპერატივებისა და მარნის თემის კოაპერატივთან შეერთებაზე იქნენს გაუქმებული; ქოლოზის თემში არსებულ კოაპერატივებს ექნეს კავშირი (დამოკიდებულება) კუთვნილებისამებრ აბაშის რაიკო-თან და დადგენილების ასლი ცნობად წარედგინოს მარნის თემის აღმასკომს და სამტრედიის კოაპერატივის გამგეობას. ამ რიგად პრ. ნოდიას უმტყუნა წადილმა. კრება აღდგენს, რომ ასეთ სახალხო (სათემო) შინააღმშენებლობის საქმეში თვითნებობას და კერძო მოქმედებას ადგილი არ ექნეს.

დ. მ.—აბე.

დ. სუჯუნა (სენაკის მაზრა)

მიმდინარე წლის 17 მაისს, ნაშვადღევს 5 საათზე, დ. სუჯუნას ეწვია სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მამულია და განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ქობულია. მათ დახვდა მასიური კრება, რომელსაც ამხ. მამულიამ ფრიალ გასაგები ენით დაუსურათა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა და მისი დამოკიდებულება დანარ-

ჩენ სახელმწიფოებთან. შემდეგ ამხ. ვ. ქობულიამ აღუხსნა დამსწრეთ რე-ლიგიის წარმოშობა და მისი ხელ-მძღვანელების მატყუარობა. კრება დაიხურა საღამოს 9 1/2 საათზე.

საღამოს დათვალეირეს ახალ გახსნილი თეატრი და აკაკი ხოშტარიასაგან კონფესიციის სახით ჩამო-რთმეული სახლი. ცოტა არიყოს უსაყვედურეს კიდევ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ასეთი საგან-გებოდ სკოლისათვის მორთული შენობა თავისი საუცხოვო ბაღით აქამდის არ გადაუკითთ სკოლისთვის. ეს შენობა თხოვლობს ცოტა შექმ-თებას და, როგორც იმ საღამოს სა-გამოითქვა, მომავალი სამოსწავლო წლიდან გადაეცემა დ. სუჯუნის მთლიანი შრომის სკოლას.

მეორე დღეს (18 მაისს) სტუმ-რებმა დათვალეირეს გელმა ზანათის, ეწერის, გამოღმა ზანათის და დ. სუ-ჯუნის მთლიანი შრომის სკოლები. ყოველგან შეძლებისა და გვარად გამოკითხეს ბავშვებს გავლილი მასა-ლებიდან, აგრეთვე, სადაც შესა-ძლოა სცნეს (დ. სუჯუნის სკოლის მე-VIII კლ. მოწ.) შეეხენ საბჭო-თა ხელისუფლების პოლიტიკას.

საღამოს ნაშვადღევს 5 საათზე ამხ. ქობულიამ განუმარტა სუჯუნის თემში არსებულ სკოლების მასწავლებელთა კრებას, თუ რა მდგომარეობაშია ეხლა სუჯუნის თემის სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე, რა დეფექტები შენიშნა და რა საშვადღებო შეიძლება მათი გა-მოსწორება.

საერთოდ სუჯუნის თემის სკო-ლებიდან, როგორც აღიარა კრებაზე ამხ. ვ. ქობულიამ, კარგი შთაბე-ქდილება მიჰქვთ ჩვენ ძვირფას სტუმრებს.

ძაკუ.

ვაჯაითის თემი.

26 მაისს გვევთის თემის 1 სა-ბჭოთა სკოლის მოწვევებმა მოახთი-ნეს კრება, რომელსაც დაესწრნენ სამასამდე მოწაფეები. მოხსენება გა-აკეთა მოწაფეთა შორის მომუშავე ამხ. ს. ბესელიამ ლოზანაში ამხ. ვოროვისკის მოკვლის და ინგლისის ბურჟუაზიის თავმჯდომარის შესახებ. გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც მწუხარებას გამოსთქვამენ მუშათა კლასის სახელმწიფოს წარმომადგენელ ამხ. ვოროვისკის მოკვლაზე და პროტესტს უცხადებენ საზიზღარ ფაშისმს და ინგლისის პოლიტიკას.

მ. კუპრეიშვილი.

ს.ო.შ. უხეში (თეკლათის თემი) ეს სოფელი მდებარეობს 3-4 ეკ-რის მანძილზე ქ. ახალ-სენაკიდან (ქვ.-სენაკის გზაზე), ამ ბოლო დროს, როდესაც დაწყებულ იქნა საერთოდ შეტევა ეკლესიის წინააღმდეგ, შეე-ფიცა გამოიჩინა თავისი რევოლუ-ციონერობა: გაუქმებულ იქნა სამი ეკლესია; მათ შორის ერთი დაეთმო სკოლას, მეორე კი გადაკეთებულ იქნა სახალხო სახლად ამხ. მისა ცხაკაიას სახელობაზე.

სხენებული სახალხო სსხლი თავისი მორთულობით ჯერ ჯერობით ვერ არის განმაცვიფრებელი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მუშაობა აქ მიმ-დინარეობს ცოცხლად: ადგილო-ბრივი ახალგაზდობა დიდის ენერ-გიით ჩაბმულია სათეატრო-საგანმა-ნათლებლო საქმეში; ის დიდის აღფრთოვანებით კიდებს ხელს ამ საქმეს; მათთან ხელი-ხელ ჩაკიდე-ბული მუშაობს ადგილობრივი კო-

მუჯრედი თავისი წითელი დროშით. ღირს-შესანიშნავია სახალხო სა-ხლის გამგეობის მუშაობა. გამგე-ობა ღირსია მდღობის მოვალეო-ბის პირნათლად შესრულებისათვის.

ნ. აღაშია.

ქ რ ო ნ ი კ ა

აღმშენებლობისათვის.

საქართველოს სახალხო კომისარათა სა-ბჭომ დააკმაყოფილა სამაზრო აღმას-კომის შუამდგომლობა და მისცა მას 2 000.000,000 მან. აღმშენებლობის და-რგში ძველი დავალიანების დასაფარავთ და ახალ სააღმშენებლო მუშაობის საწარმო-ებლად.

დაგეგმულათვის.

შემშლილია და სხვა სტიქიური უბედუ-რების შედეგებთან მებრძოლ კომიტეტმა მისცა სამაზრო აღმასკომს თანახმად მისი შუამდგომლობისა 500,000,000 მან. დამ-შეულთათვის სიმინდის შესაძენათ.

მენშევიკური პარტიის რღვევა გრძელდება.

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომ-წერნი, ზიზღს ვუცხადებთ მენშევი-კურ პარტიას მისი მუშათა კლასის მიმართ მოლაღატურ საქციელის-თვის. თანაუგრძობთ კომ. პარტიას და არსებულ ხელისუფლებას.

ხელს ვაწერთ:

გ.შ.დუ გიორგის-ძე სართანია

1920 წ.

მიხაილ სიმონის ძე კაჭარავა

1918 წ.

სილიბისტრო კერძაია

მარკოზი მ. გაღლია 1918 წ.

ჩვენ ვეკუთნოდით მენშევიკურ პარტიას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მას აქვთ ჩვენ არავითარ პარტიას არ ვეკუთნით, დღეს დაერწმუნდით, რომ გლეხის და მუშის ინტერესების დამცველი არის მხოლოდ კომუნი-სტური პარტია, რომელსაც ჩვენ უცხადებთ სრულ ნდობას და თანა-გრძობას. ვგმობთ და ყოველივე კავშირს ვსწყვეტთ დღეიდან გზამ-ცდარ მენშევიკურ პარტიასთან.

მიხაილი კოსტას ძე კეკელია 1917 წ., ბიკტორი კოსტას ძე კეკელია 1917 წ., ირაკლი გო-გინავა 1917 წ., ბესელია ძიმითე 1912 წ., და ვლადიმერი მანუჩა-რის ძე კარტოზია (სტუდენტი) 1916 წლიდან.

1920 წელში მე ვირიცხებოდი ესერების პარტიაში. საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადე-ბის შემდეგ დაერწმუნდი, რომ კომუნისტურ პარტია ერთად-ერთი პარტიაა მუშის და გლეხის ინტერე-სების დაცვისა.

ამისათვის მე თანაუგრძობ და მუშას კომუნისტური პარტია, ხოლო ვგმობ მენშევიზმს და ესერების პარტიას.

ანდრო გვატის ძე სართანია.

3 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მენშევიკურ პარტიას თავი დავანებე და ვეწევი მუშაობას არსე-ბულ წყობილების გასამაგრებლად. მზად ვარ უკანასკნელ შესაძლებ-ლობამდე ვებრძოლო ზემოხსენებუ-ლი წყობილების მტრებს და მხარში ამოვუდგე კომუნისტებს, როგორც ერთად-ერთ ჩაგრული კლასის მხსნელთ.

ყარამან ოდიშარია.

მაგრამ მათი მუშაობა ამით არ ამო-იწურება: ჯერ კიდევ ბევრია გასა-კეთებელი ჩვენს კულტურულ ფრო-ნტზე.

იანი ტანისაოსი გლახებისათვის.

სამაზრო აღმასკომმა შეიძინა 20 ტიუკი (20.000 ცალი) ამერიკის ტანისაოსი ლა-რიბ გლეხკაცობისათვის **იანად** მისაწო-დებლად. ტანისაოსი იქნება განაწილე-ბული რაიონებსა და თემებს შორის და მისი გაყიდვა დაიწყება 15 ივნისიდან.

გაგზობა თავშესაფარისათვის

სახალხო განათლების კომისარიატმა დააკმაყოფილა სამაზრო აღმასკომის შუა-მდგომლობა და მისცა მას ბავშთა თავშე-საფარისათვის 200.000.000 მ. ფულად და 40 კომპლექტი ტანისაოსი.

მე ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატი-კურ (მენშევიკურ ფრაქციაში) 1904 წლიდან ვიდრე 1921 წლამ-დე. დღიდან საქართველოს გასა-ბჭოებისა ყოველგვარი კავშირი გავ-სწყვეტე ამ პარტიასთან. ამ გან-ვლილმა ორმა წელიწადმა დამა-წმუნა, რომ მხოლოდ საბჭოთა მთა-ვრობა არის ნამდვილი დამცველი მუშათა და გლეხთა ინტერესების და მას მხოლოდ შეწევს ძალა სო-ციალიზმის განხორციელებისა. ვუ-ცხადებ ჩემს თანაგრძობას არსებულ ხელის უფლებას და კომუნისტურ პარტიას და ყოველივე ჩემს ენერ-გიას მოვანხარ საბჭოთა აღმშე-ნებლობის საქმეებს.

იონა ტარელის-ძე ანჯაფარიძე.

სავაჭრო სამრეწვე-ლო აღწერა ქ. ახალ-სენაკში.

თანახმად ამიერ-კავკასიის სოცია-ლისტურ ფედერატიულ რესპუბლი-კის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სო-ციალ. საბჭოთა რესპუბლიკის სა-ხალხო კომისარათა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 5-ის გომოცე-მულ დეკრეტის მე 3-ე მუხლისა, სტატისტიკის ცენტრალურ სააღწე-რო ბიუროს მიერ მოქმთა 5 მაისს სრულიად საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო აღწერა. ქ. ახალ-სენა-კში აღწერის დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა:

- 1) სავაჭრო დაწესებულებები 231.
- 2) სამრეწველო — — 115.
- 3) ზეზე მოვაჭრე — — 26.

სულ. 372.

სამაზრო სტატ-ბიურო.

ჩვენი ფოსტა.

ვარლამ ბოკუჩავას, დიანოს გო-გინავას, სევერიანე დგებუაძეს და აკაკი ოდიშარისას—შემოიარეთ რე-დაქციაში.

ბანძა კირილე ბანძელს. კარგი იქ-ნება, თუ ჩამოხვალთ სენაკში, რე-დაქცია პირადად მოგელაპარაკებთ თქვენ.

ბანძელ გლეხს შემდეგ №-ში

ზანა. შემდეგ №-ში

აბაშა. ეშმდეგ №-ში

მარტვილი. რაიონის ყველა პა. მგ. ამხინაგებს. გამოგზავნეთ მასა-ლები.

ნოქალაქივი. გამოგზავნეთ მასა-ლები.

პასუხისმგებელი: **სარქაძეცინო კოლფია.**

დავკარგე

პირადობის მოწმობა №140/1376 რო-ცემული თეკლათის თემის აღმასკომის მიერ და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა №10855. ჩაითვალოს გაუქმებუ-ლად. კირილე გვლია.

დავკარგე

სამხედრო აღრიცხვის ნუსხა № 164 გა-ცემული დავით მიხელაშვილის სახელ-ზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე

დაზღვევითი, კასის წიგნაკი № 534. ჩაი-თვალოს გაუქმებულად. მასწ. ბარბაღე ჩიხუა.

დავკარგე

სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, მოცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისრისაგანი № 9670. ჩაითვალოს გაუქმებულად. ბიკტორ თეიმურაზის ძე გვასალია.